# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ48. 482502931

თარიღი:29/01/2025

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის“ (ს/ნ 421283104) 2025 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ” წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 14 იანვრის №48.48250142 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის“ (ს/კ 421283104) წესდების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 26 თებერვლის №ბ48. 48240572 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის დირექტორის 2025 წლის 27 იანვრის №:14-4825027119 წერილის შესაბამისად,

ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის“ (ს/ნ 421283104) 2025 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ” წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 14 იანვრის №48.48250142 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი №1-ის შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის დირექტორს (დ.იობიძე).

3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალაბანიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №2 221274540

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი